გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „ივერია“ აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

---

**ეკატერინე დავითის ასული კოლუბანსკისა და დარია დიმიტრის ასული მუსხელიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი შვილისასა, ხოლო მეორე ძმისას, **ალექსანდრე დიმიტრის ძის კოლუბანსკისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ საკუთარის სახლიდგან კალოუბნის წმ. გიორგის ეკკლესიაში პარასკევს, 27 მარტს, დილის 8 საათზედ.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ხუთშაბათს, დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. (2—44—2)

---

გამგეობა ტფილისის საურთიერთო დამზღვეველის საზოგადოებისა აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ სამშაბათს, 31 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება

**საზოგადო კრება,**

რომელმაც უნდა განიხილოს:

1) გამგეობის ანგარიში 1891 წლისა; 2) 1892 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 3) წინადადება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ტფილისის საქალაქო გამგეობას უკანვე დაუბრუნდეს 369 მ., საქალაქო სახლის დაზღვევაში აღებული; 4) წინადადება გამგეობისა იმის შესახებ, რომ 1895 წლის პირველ იანვრამდე დასაზღვეველს ფულში ჩაირიცხოს ხოლმე $^1/_4$% პირველად შეტანილის ფულისა, და 5) არჩევანები გამგეობის ერთის წევრისა, სამაგიეროდ მ. ბ. ბეჟანოვისა, რომელმაც სამსახურს თავი უნდა დაანებოს, სამის კანდიდატისა გამგეობის წევრთათვის და აგრეთვე სარევიზიო კომისიის ორის წევრისა და მათის თითო კანდიდატისა. (1—1)

---

სააღდგომო საჩუქარი **ქართველებს**.

იხილეთ მეოთხე გვერდზედ ქართველთა ამხანაგობის განცხადება.

---

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა უკვე მეათე წიგნი, დაბეჭდილი ქართველთა ამხანაგობის მიერ. ეს მეათე წიგნი პირველი ტომია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა. წიგნი საკმაოდ მოზრდილია, სამას კაბადონამდე, და შიგ მოთავსებულია ყველა დიდი და წვრილი ლექსი ავტორისა, დაწერილი მის მიერ 1857 წლიდამ 1891 წლამდე. გარეგნობით ეს პირველი ტომი საკმაოდ შნოიანია და ლამაზად დასტამბული. წიგნს თავშივე ჩართული აქვს სურათი ავტორისა, სამზღვარ-გარედ გაკეთებული. სურათს შემდეგ დაბეჭდილია პატარა ლექსი „გაზაფხული“, ნაწერი ავტორის ხელით. ამხანაგობა შესდგომია მეორე ტომის ბეჭდვასაც. მეორე ტომში იქნება მოთავსებული ავტორის ყველა მოთხრობა.

*** გუშინ-წინ ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ავ. ცაგარლის დრამა: „ქართველი დედა“ და გუნიას ვოდევილი: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“. ქ-ნს მანდენოვისას ავადმყოფობის გამო მონაწილეობა არ მიუღია. საზოგადოება ძალიან ნაკლებად დაესწრო.

*** 25 მარტს საღამოს საგანგებო კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობას, რომელმაც მოიწვია სასანიტარო კომისია და აგრეთვე საგუბერნიო ექიმი ბ-ნი ზელინსკი. გადასაწყვეტი ჰქონდათ, რა ღონისძიებანი უნდა იღონოს ქალაქმა წინააღმდეგ ხუნაგისა, რომელიც ეხლა საშინლადა მძვინვარებს ტფილისში. კრებამ დაადგინა, რომ მიჰმართოს მიხეილის საავადმყოფოს და სთხოვოს გამატება ხუნაგიანთა განყოფილებისა, რათა ოცდამდე ახალი საწოლი კიდევ დაიდგმებოდეს ამ განყოფილებაში. სამაგიეროდ, ქალაქის გამგეობა დაუთმობს თავისს საკუთარს საავადმყოფოში ოცს [illegible] ომყოთ მამაკაცთ, რომელნიც მიხეილის საავადმყოფოში წვანან. გარდა ამისა, გაკეთდეს სამი ნაბდის კარავი მგზავსად ყირგიზთა ალაჩუხებისა ხუთი ცალი, თითო 10 ავადმყოფისათვის; ეხლავ შეუდგეს გამგეობა დაააშენოს სადეზინფექციო ოთახი ავლაბარში და იქვე განცალკევებული შენობები ხუნაგიანთათვის. კრებამ გასტანა ღამის პირველ საათამდე. ყოველივე ეს გადაწყვეტილება წარდგენილ იქმნება საბჭოში ორშაბათს, 30 მარტს, დასამტკიცებლად.

*** კვირას, 29 მარტს, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა. ამ საზოგადოების წლიურ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1 იანვრიდგან 1891 წ. 1 იანვრამდე 1892 წ. მის წევრთა რიცხვი ყოფილა 1031 კაცი. სახმარებელი თანხა წლის განმავლობაში ჰქონია 837,660 მანეთი, ხოლო საზოგადოების კასსაში მოტრიალებულა ორმოც-და-ოთხ მილიონ მანეთზედ მომეტებული ფული. წმინდა შემოსავალი საზოგადოებისა შეადგენს 81,166 მ. და 50 კ. ამ მოგებიდგან უნდა გადადებულ იქმნას სათადარიგო თანხისათვის 3,936 მანეთი და 59 კ., ამიერ-კავკასიის სასწავლებლებს უნდა მიეცეს დასახმარებლად 1574 მ. და 64 კ., საზოგადოების მოხელეთა დამხმარებელ კასსას—787 მ. და 32 კ., მოხელეთა დასაჯილდოებელი 14,171 მ. 71 კ. მაშასადამე, საზოგადოების წევრთა სასარგებლოდ დარჩება სუთ 58,261 მ. და 24 კ., რომელიც უნდა განაწილებულ იქმნას წევრთა შორის თანხმად მათის ფულის რაოდენობისა, და თითოეული წევრი მიიღებს მოგე- [illegible] მანეთს და 45 კაპეიკს.

*** 24 მარტს, ღამის ათის ნახევარზედ, ტფილისის მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს ლოთობისა და მეტის-მეტ სმისაგან მოწამლული ახალგაზდა კაცი, ტფილისის მცხოვრებელი ნიკო ხლუსიშვილი. ამ კაცს დილიდგან შვიდ საათამდე ესვა, შვიდს საათზედ-კი გულზედ დასდგომოდა და გადაქცეულიყო. ექიმები ბევრს ეცადნენ იმის გამობრუნებას, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა: ავადმყოფი ერთს საათს შემდეგ გარდაიცვალა. ამ კაცს ამ რამდენისამე თთვის წინად დედა გარდასცვლია და ას თუმნამდე ფული დარჩენია სამკვიდროდ. იმ დღიდგან მოკიდებული სულ სვამდა, სულ მთვრალი იყო თურმე და ამით მოიწამლა და მოინარიკლა თავი.

*** ჩვენ მივიღეთ „მწყემსის“ რედაქციის მიერ დაბეჭდილი ახალი წიგნი გ. საძაგელოვისა. «Историческій очеркъ Оконской чудотворной иконы Божіей матери, находящейся въ Горійской Оконской Богородичной церкви (Тиф. губ)».

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში თანდათან ვრცელდება ხუნაგი, ასე რომ ხმა ისმის, ვითომ ტფილისის ყველა სასწავლებლებში სწავლას შეაჩერებენ ენკენისთვემდე, თუ ნაალდგომევს ეს ავადმყოფობა არ მოისპოო.

*** გაზეთს „მშაკ“ სწერენ სტამბოლიდგან, აქაური სომხური გაზეთი „ჰაირენიკ“-ი ხელ-ახლად აღკრძალა ოსმალეთის მთავრობამაო. რვა [illegible] ზეთი ეს მესამედ აღრძალეს.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 8—15 მარტს ტფილისში ავად გამხდარა გადამდების სენით: ყვავილისაგან—2, ხუნაგისაგან—21, ჩუტყვავილისაგან—4 და შავის სახადისაგან—2, ხუნაგისაგან გარდაცვლილა—8 კაცი.

*** ვბეჭდავთ წერილს, რომლი-

---

# ფელეტონი

## ჩვენი უთავბოლობა *)

წინასიტყვაობის მაგიერი

არის სამი სიტყვა, რომელსაც სოფლის დასაბამიდგანვე მეტად ვრცელი და ყველაზედ უპირველესი ადგილი სჭერია და უჭირავს მთელს კაცობრიობის ცხოვრებაში, გულგონებაში და მისს მოქმედების ისტორიაში. ვინ იცის, რამდენს მილიონს წელიწადს გაურბენია ქვეყნის გონება მიუწვდომელს სივრცეში, ვინ იცის, იმ ხნის განმავლობაში რამდენი რამ საარაკო ცვლილება, უსამართლობა და საოცრება მომხდარა გამოუცნობს ცასა და ქვეყანაზედ, ვინ იცის, რამდენი წინანანი უკან ჩამორჩენილან და უკანანი წინ წასულან ჟამთა ვითარების ჩარხის წალმა-უკუღმა ტრიალისაგან, ვინ იცის, ქვეყნის გაჩენიდგან რამდენ საზიზღარ ადამიანის კენჩხა განაცარმტვერებულა, რამდენი ბუმბერაზი მთა დანგრეულა, რამდენი მდინარე დამშრალა და რამდენი ქვეყანა წარღვნილა, ჩამძვრალა და ჩალეწილა მიწაში, ბუდიდგან გადმოვარდნილ ჩიტუნას კვერცხივით, და ის სამი სიტყვა-კი წმინდა სამებასავით, უვნებ-უკვდავი დარჩენილა და დარჩება კიდეც იქამდის, ვიდრე დედამიწის ზურგზედ ადამიანის შვილი მოიპოვება, რადგანაც იმ სამის სიტყვის ავ-კარგიანობაზეა დამოკიდებული მთელის კაცობრიობის ავ-კარგი და მისი ბედი და უბედობა. ეს სამი სიტყვა გახლავთ გონებრივი და ქონებრივი წარმატება ადამიანისა კერძოდ და ქვეყნისა ერთად. ამ სამის სიტყვისათვის სოფლის გაჩენიდგან დღევანდლამდე დაუცხრომლად უბრძოლნია კაცობრიობას და იბრძოლებს კიდეც იქამომდე, ვიდრე მთელის ქვეყნის სახელმწიფოების დღევანდელი წეს-წყობილებანი ძირიანფესვიანად არ შეიცვლება ძმურის თანასწორობის მოყვარულის ჭეშმარიტების წყალობით და ვიდრე ეხლანდელი დაჩაგრული უწიგნო და უქონელი ადამიანი ძნელად დასაჯერებელ საარაკო ადამიანად არ შეიქმნება.

დიაღ, გონება და ქონებაა ქვეყნის მაცხოვრებელი, მისი დიდი, აუცილებელი საჭიროება და ცხოვრების უდიდებულესი საგანი. გონება-ქონების მოსაპოებლად, როგორც მოგეხსენებათ, საჭიროა ცოდნა-შრომა, თორემ თუ ცოდნა არა გვაქვს, სირეგვნე დაგვღუპავს, და თუ ცოდნა გვაქვს და შრომა გვეჯავრება, მაშინ კიდევ შიმშილით მოვკვდებით. მაშასადამე, სწავლა-ცოდნას და გარჯა-შრომას ისეთივე უპირველესი ადგილი უჭირავს ადამიანთა ცხოვრებაში, როგორც ჰაერს და მზის სითბო-ნათელს. ადამიანს ჰაერი და სითბო ასულდგულებს და ვინც ამ ორში ერთ-ერთს გამოაკლდება, უდროვო სიკვდილს ვერ ასცდება. ცოდნა-შრომაც განუყრელნი ძმები არიან სითბო-ჰაერივით და ცალ-ცალკე ვერას არგებენ ადამიანს ისე, როგორც ცალი წისქვილის ქვა ვერას დაჰფქვავს უმეოროდ. ვსთქვათ, მაგალითად: მშვენიერი მიწა-წყალი მაქვს და კაი მცოდნე მეურნე ვარ, მაგრამ თუ ხელს არ გავძრავ და ენას არ დავატოკებ, ჩემი სამეურნეო ცოდნაც სრულიად უნაყოფოთ ჩაივლის და იმ ჩემს მშვენიერს მიწა-წყალში უბრალო ბალახ-ბულახის მეტი არა აღმოცენდება-რა. ვსთქვათ კიდევ სიტყვაზედ: რომელსამე უჩინარს, მაგრამ ღვთისგან დიდის სიბრძნე-ნიჭით დასაჩუქრებულს ადამიანს ისე აქვს მომწიფებული ჭკუა-გონება მრავალ გვარის სწავლა-მეცნიერებით და ისეთი ქვეყნის საკეთილდღეო აზრები უტრიალებს თავში, რომ იმ აზრების გამოქვეყნება და ქვეყნისათვის ბედნიერების შემატება ერთი იქნებოდა, მაგრამ თუ იმას თავის სიზანტე-დაუდევნელობის გამო ეზარება იმ აზრების საქმით ან სიტყვით გამოხატვა, მაშინ იმისი საკეთილო მოსაზრებანიც საფლავში დაილუპება და მისი ხსენება-სახელიც ყალიონის ბოლივით გაქრება დედამიწის ზურგიდგან, რადგანაც ქვეყანას იმისაგან არა მიეცხობა-რა გულ-გონებაზედ და არა შეემატება-რა თვალსაჩინო; შრომის შემწეობით-კი ადვილად შეეძლო იმას თავისი ცოდნანიჭიც ქვეყნის საბედნიეროდ ემოქმედებინა, თითონაც კეთილად ეცხოვრნა და უკვდავიც შექმნილიყო იმ უკვდავთა შორის, რომელთა სახელი, ვით მზე ცაში, ისე ბრწყინვალებს ქვეყნის ნიჭოსანთა ისტორიაში. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს მაგალითებით, ცოდნას მოკლებული შრომა კიდევ იმ ველურ ადამიანებსა ჰგავს, რომელნიც ძაღლ-უმადლოდ დაეხეტებიან დედიშობილანი აფრიკის ჰალა-ტყეებში და ძაღლ-უმადლოდვე იხოცებიან ნადირებივით. დიაღ, ღმერთს დაუფასებელი სიცოცხლე უწყალობებია ჩვენთვის და უბრძანებია: წადით და თქვენის ცოდნა-შრომით ტკბილად იცხოვრეთო! მაგრამ ვაი იმ ცხოვრებას, როდესაც ცოდნა გვაქვს და შრომა გვეჯავრება, ან როცა შრომა გვიყვარს და ცოდნა-კი არა გვაქვს. ცოდნა სულია და შრომა—ხორცი: სული და ხორცი უერთმანეთოდ ვერ იგვარებენ.

ეხლა საყურადღებოა ვიცოდეთ: აქვს ჩვენს ხალხს (მე აქ ჩვენის ხალხოსნობის წარმომადგენელი, ნამდვილი ერის უმრავლესობა მყავს მხედველობაში და არა „ჩვენი“ ათასიოდე სასაცილოდ და სამარცხვინოდ გადაგვარებული „შჩი-ქაშას“ ოზხი-

*) უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთს სახელმძღვანელო აზრს ავტორისას რედაქცია არ ეთანხმება.

თაც მიუმართავს იკორთის ტაძრის განახლებისათვის დაარსებულს კომიტეტს ერისთავთა გვარეულობის წარმომადგენელთათვის:

,,თქვენო ბრწყინვალებავ!

,,სხვათა ძველთა ნაშთთა შორის ჩვენის საქართველოს დიდებულის ძველის ცხოვრებიდგან განსაკუთრებით ყურადღების ღირსია თავისის გასაოცარის აგებულობით დიდებული იკორთის ტაძარი მთავარ-ანგელოზის მიხეილისა, რომელიც არის აღშენებული მეხუთე საუკუნის ნახევარში ერისთავის ადარნასე მეორისაგან. რაოდენიმე ხნის უკან, შემდეგ ამა ტაძრის აღშენებისა, ამა ტაძართან დაფუძნებული იქმნა მღვდელ-მონაზონთა სავანე სასულიერო სასწავლებლით, რომელშიაც სასულიერო და საერო წოდების პირნი იღებდნენ განათლებას თანახმად მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისა. აქვნდათ რა დიდი მამულ-დედული და იყვნენ რა უზრუნველ-ყოფილნი ყოველის მხრივ, მონაზონნი იგინი მოშორებულნი ამა წუთი სოფლის აღშფოთებულს ცხოვრებასა, იკორთის სავანეში სწირავდნენ მსხვერპლს და ევედრებოდნენ ღმერთს მართლ-მადიდებელთა თანამოძმეთათვის. ამ წმიდა სავანის წინამძღვართა შორის თვალსაჩინო ადგილი უპყრია თავის დროის შესაფერად ღრმად განსწავლულსა კაცსა—არხიმანდრიტ გამალიილ გამრეკელსა, რომელმაც მიიღო ღვთის-მეტყველური განათლება მაშინდელ დროის განათლებულთა განთქმულს ქალაქს რომში. აღუშფოთებელი ყოფა ცხოვრება სავანისა, რომელიც არა ერთხელ შეირყეოდა ხოლმე მაღლმეტანთა და კავკასიის მთიელთა ხშირ-ხშირად თავდასხმითა, გაგრძელდა 1817 წლამდე, როდესაც, სამწუხაროდ, იკორთის მონასტერი იქმნა გაუქმებული.

,,შესანიშნავი ტაძარი იკორთისა, რომელიც ათას სამასი წლისაა, ამ უკანასკნელს ჟამში თანდათან ირღვევა; მისი გარეგანი მორთულობანი ჩუქურთქმითა ძალიან დაზიანდა; შიგნით კედლებზედ ნალესი სცვივა, კედლებზედ ნახატი სრულიად წაშლა, მხოლოდ ტრაპეზში შერჩა რამდენიმე კიდევ. კანკელი და ხატები დროთა ვითარებისა და მტრის წყალობით აგრეთვე დაზიანებულნი არიან. ამისთანა წმიდა ადგილი, რომელსაც შემოძარცული აქვს გალავანი, აწ მდგომარე ჟამს უკიდურესს მდგომარეობაშია. ტაძარი იგი, როგორც გვიჩვენებენ ჩვენ უტყუარნი საბუთნი ისტორიისა, რაოდენიმეჯერ განუახლებიათ; ამას გვიმტკიცებს თვით ტაძრის გარეგანი შეხედულობა, მაგრამ განახლების დროს ბევრ ნაირად დაუმახინჯებიათ ტაძარი.

,,დიდებულს იკორთის ტაძარში, რომელიც იყო და არის საგვარეულო სამარე წევრთა ღვაწლ-შემოსილთა თავად ერისთავთა ქსნისათა, მიიღეს სეუკუნო თავშესაფარი ნაწილთა წმიდათა სამთა თავადთა: ბიძინა ჩოლოყაშვილმა (თავადმა კახეთისამა), ელიზბარ და შალვა (ქსნის ერისთავთა), რომელთაც მიიღეს გვირგვინი მოწამეობისა სპარსეთში შაჰ-აბაზ მეორის დროს 1661 წ. მართლ-მადიდებელის სარწმუნოების მტკიცე აღსარებისა და თავის სიმშობლოს დაცვისათვის. საქართველოს ეკკლესიამ შერაცხა რა ძმათა მოწამენი წმიდათა შორის სამშობლო ეკკლესიისა, დაადგინა დღესასწაული ხსენებად მათდა 18 ენკენისთვე.

კომიტეტი, შედგენილი განსაახლებლად იკორთის მთავარ-ანგელოზის ტაძრისა ნებითა და დამტკიცებითა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პალლადისა, საქართველოს ექსარხოსისა 3-ს აპრილიდამ 1891 წლისა, შეუდგა რა განახლებას ამ ძველის ძეგლისა საქართველოსი—იკორთის ტაძრისა, მოგმართავთ უმორჩილესის თხოვნით თქვენს ბრწყინვალებას, მოგვცეთ დახმარება შემოწირულობითა სასარგებლოდ აღნიშნულის ტაძრისა. ვბედავთ ამას უფრო იმიტომ, რომ იკორთის ტაძრისა, როგორც საუკუნის სავანეს თავად ერისთავთა, მომეტებულად თქვენ გმართებთ ყურადღების მოპყრობა. ამას გვაწვევს ჩვენ ყველას მოვალეობა, სამართალი და ქრისტიანობრივი ვალი. შემოწირულება კეთილ ინებეთ და გადმოგვეცით ქალაქ გორში კომიტეტის სახელობაზედ.

თავმჯდომარე იკორთის ტაძრის განახლებისა, ეპისკოპოსი ალექსანდრე.

წევრნი:
- თ. რევაზ შალვას ძე ერისთავი.
- თ. კოსტ. ბიძინას ძე ერისთავი.
- ბლ. მღ. იოელ გამრეკელი.
- თ. კონა მირმანოზის ძე ერისთავი.
- თ. კოსტ. ალ. ერისთავი.
- მღვდელი დავით გამრეკელი.
- მდივანი ბლ. მღ. იოელ გამრეკელი.

*** ბათუმი: 24 მარტს მატარებელმა ხუთის დატვირთულის ვაგონით კაცს გადაუარა, რომელიც რკინის გზის ლიანდაგზედ იწვა და თავი რელსზედ დაედო, და თავი მოჰკვეთა. ვინაობა მოკლულისა ჯერ ვერ შეუტყვიათ.

*** ამ ორი-სამის კვირის წინად კასპიის ზღვის ერთის სადგურიდგან გემი „ალექსანდრე ვოლკოვი“ წამოსულა, ბამბით დატვირთული, რომელზედაც 18 გემის მოსამსახურე და 200-მდე მგზავრი ყოფილა. გემის პატრონს ჰაჯი მამედოვს კარგა ხანია თავის გემის ამბავი არ მიუვიდა და ამიტომ მეორე გემი „ირისი“ გაჰგზავნა „ალექსანდრე ვოლკოვის“ საძებნელად. ამ ჟამად „ირისი“ უკან დაბრუნდა, მაგრამ დაკარგულის გემის ამბავი ვერსად ვერ შეიტყო. ჰფიქრობენ, რომ ,,ალექსანდრე ვოლკოვი“ ტვირთით და მგზავრებიანად ასტარასა და კუნძულ სარას შუა დაიღუპაო. (,,Т. Л.“).

*** 24 მარტს პოლიციის მეოთხე ნაწილში იაკობ იაროკმა სიმთვრალის დროს იატაკზედ ცეცხლი დაანთო და დაიძინა. ცეცხლი მოეკიდა მძინარეს და ისე ძალიან დაიწვა, რომ მეორე დღესვე გარდაიცვალა.

** ამავე დღეს პოლიციის მესამე ნაწილში პოლიციელმა ღობელაიამ შეიპყრო სოფ. ახრისის მცხოვრებელი გიგო გუთნიდლიშვილი, რომელსაც გიორგი მდივნის ლუდხანა გაეტეხნა და გაქურდვას უპირობდა.

## მთავრობის განკარგულებანი

დუშეთის მომრიგებელ-მოსამართლე გუბერნსკი სეკრეტარი გამრეკელი გადაყვანილ იქმნა თიანეთის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლედ.

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

(გამართული 25 მარტს ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში)

გუშინ-წინ საღამოს ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მიერ გამართულს სალიტერატურო-სამუსიკო „საღამოს“ დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, ასე რომ დიდი დარბაზი ვერც-კი იტევდა დამსწრეთ. სხვათა შორის იქვე ბრძანდებოდნენ მზრუნველი კავკასიის სამოსწავლო ოლქისა ბ-ნი კ. პ. იანოვსკი და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ლ. ა. მაღალაშვილი. პროგრამა „საღამოსი“ საკმაოდ ვრცელი იყო. პირველ განყოფილებად დანიშნული იყო სულ 18 ნომერი საგალობელ-წასაკითხი რუსული და ქართული, ხოლო მეორე განყოფილებად 15. საღამო დაიწყო 8 საათზედ და გასტანა მეთერთმეტე საათამდე.

საერთოდ «საღამომ» მხიარულადა და რიგიანად ჩაიარა. ყოველივე, რაც კი პროგრამაში ჰქონდათ აღნიშნული, ყმაწვილებმა ჯეროვანად შეასრულეს საგალობელიცა და წასაკითხიც. რამდენმამე მოსწავლემ და განსაკუთრებით ორმა, ა. ავალიშვილმა და ი. ანდრონიკაშვილმა, ისეთის შეგნებითა და გრძნობით წაიკითხეს პირველმა რუსულად «Жалоба Ив. Ив. на Ивана Никифоровича», ნაწყვეტი გოგოლის თხზულებისა, და მეორემ ქართულად «ლუარსაბის გართობა“, ნაწყვეტი მოთხრობისა „კაცია ადამიანი“, რომ საზოგადოების მიერ ტაშის ცემას დასასრული აღარა ჰქონდა. სასიამოვნო უფრო ის იყო საზოგადოებისათვის, რომ ყმაწვილები ყველანი რუსულსაც მშვენიერადა ლაპარაკობდნენ ‡ კითხულობდნენ, მაგალითად, მოსწავლე ავალიშვილმა ზემოხსენებული რუსული წასაკითხი ისე წაიკითხა, რომ, როგორც იტყვიან, უბრალოდაც არ შეუბორძიკებია ენა. სხვა მოსწავლეებსაც საერთოდ გამოთქმა მკაფიო და ჯეროვანი ჰქონდათ. დამსწრე საზოგადოება მილიონ პირველჯერ კიდევ დარწმუნდა იმ საღამოს, რომ სამშობლო ენით სწავლების დაწყება ქართველ ყმაწვილებისათვის უფრო ნაყოფიერია და გამოსადეგი, ვიდრე უარყოფა ამისა და პირველადვე უცხო ენის სწავლება. ამ გარემოების აღნიშვნა მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მრავალნი ბევრჯელ სრულიად უსამართლოდ ემდურიან ხოლმე ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელს—რუსულს ვერ ასწავლიან ჯეროვანადაო. ვინც-კი გუშინ-წინდელს საღამოს დაესწრო, მგონი ყველამ ცხადად დაინახა ამ გვარ საყვედურის უსაბუთობა. 8—9 წლის ყმაწვილებიც-კი ისე კარგადა კითხულობდნენ და ლაპარაკობდნენ რუსულს, რომ მეტის მოთხოვნა სწორედ უსამართლობა იქნება.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „საღამოს“ ყოველისფერში რიგიანობა ეტყობოდა. დამსწრენი დიდად კმაყოფილნი და ნასიამოვნები დარჩნენ. მზრუნველმა ბ-ნმა იანოვსკიმ წასვლის დროს მადლობა გადაუხადა ინსპექტორს სკოლისას ბ-ნს ა. ჰიჰინაძეს და საერთოდ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

## რა წყარო ჰქონია ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხის-ტყაოსანი“ უწერია?

მკითხველს, რასაკვირველია, ეცოდინება, რომ შოთა რუსთაველი წყაროდ მისის პოემისა გვიჩვენებს ერთს სპარსულს მოთხრობას, რომელსაც ნიშანდობლივ არ ასახელებს:

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები

გვოდე დალექსად გარდავთქვი, საქმე ვქმნე საჭოჭმანები“.

„ამბავს“ ძველად უწოდებდნენ ზღაპრებს. მრავალი ამ გვარი „ამბები“ ჩვენ გვინახავს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცავში, თუმცა-კი საზოგადოებისაგან დაბეჭდილს კატალოგში, სამწუხაროდ, აღნუსხული არ არის. სჩანს,

---

ვარისაგან და უნიჭო მეტიჩარობისაგან) საკმარისი სწავლა-ცოდნა და დაუცხრომელი გარჯა-შრომის უნარი, თუ არა, და თუ აქვს, რა გონებისა და ქონების პატრონია ჩვენი ხალხი? რაც შეეხება პირველს საგანს, ამაზედ საკმარისად გამოვსთქვი შეძლებისადა გვარად „ძმურ სიტყვაში“: რა სწავლა-ცოდნა და გარჯა-შრომის უნარიცა აქვს დღეს ჩვენს მდაბიო ხალხს, რაც არის და რაც უნდა იყოს. მე ეხლა ისა მაქვს სახეში, შეძლებისა დაგვარადვე, მოვახსენო ჩემს მკითხველს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ათასის ჭალის მგლების გამო ხალხის ოფლით ნაწვავ-ნადაგი სარჩო-საბადებელი და რა ეჭირება ხალხის ნაჭირნახულევ მიწის მოსავალს, იმ საძაღლ-ღორედ გამხდარ მოსავალს, რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა ხალხის ქონებრივის, გონებრივისა და ზნეობრივის წარმატებისა და ქვეყნის მტკიცესაძირკვლიანის კეთილდღეობისა. ნივთიერად ღატაკი ხალხი ღატაკია გონებითაც, ზნეობითაც და ძალღონითაც. ან-კი რის მაქნისი ვიქნები მართლაც, თუ-კი ჯიბეში გროში არ მეგდება და კიდობანში—გამომცხვარი? მაშინ ვერც შვილებს ვასწავლი, ვერც სახლს გამოვადგები, ვერც თავს და ვერც ქვეყანას. მაშინ-კი სულ სხვაა, როდესაც ქისა ფულითა მაქვს სავსე, ამბარი—ფქვილით, ქვევრები—ღვინით და გროში ვალიც არავისი მმართებს. დიაღ, მაშინ სულ სხვაა! მაშინ შვილებსაც სწავლაში გამოვზრდი, ოჯახსაც წესრიგიანად ვუპატრონებ, თავსაც გამოვადგები, სხვასაც, ქვეყანასაც, გულიც გულის ალაგას მექნება და ენა—სწორე მთქმელი, უშიშარი, დუშმნის მკვლელი, ძმისთვის მტკბარი. მეც ადამიანი ვარ და ადამიანურს საქმეებს მაშინ მოვიქმედებ, როცა ადამიანური ცხოვრება მექნება და არა ძაღლ-უმადლო, სავსე გამანაცარმტვერებელ სილატაკის ჭირითა და ვარამით. სილატაკეც მახრჩობელა ზღვა არის და ზღვაში ჩავარდნილს ადამიანს, გარდა თავის შველისა, უცბად ავიწყდება ქვეყანა და ქვეყნის საქმე და ნამუსი და უნამუსობა. სილატაკის ზღვაში ჩავარდნას ნამდვილ ზღვაში ჩავარდნა სჯობიან: პირველში რამდენისამე წლობით იტანჯება და სცოდებს ადამიანი და მეორეში-კი—რამდენისამე წუთით. კეთილ-ზნეობა კეთილ-დღეობამ იცის.

შეგნებულ ადამიანის კეთილი ქონება იმ ღვთისაგან დალოცვილ წისქვილის წყალსა ჰგავს, რომელიც ცოდნით მოწყობილ დოლაბებს დღე და ღამე ციბრუტივით ატრიალებს პატრონისა და ქვეყნის საკეთილოდ. ქონებავეა სათავე და საძირკველი სულიერისა და ხორციელის ცხოვრებისა, მაგალითად: დედას რომ ძუძუ არ ეწოვებინა ჩემთვის, სიკვდილი მომიტაცებდა სულიან-ხორციანად, და ჩვენს კიდობანში რომ ვალისა და ვახჩისაგან მჭადიც არა გდებულიყო, ანაბანაც არ მეცოდინებოდა, რადგანაც ლუკმის გულისათვის ჩემი მშობლები სხვას მიმცემდნენ ყურ-მოჭრილ ყმა-მოსამსახურედ. მაგრამ დღეს-კი თქვენს წინა ვარ სულით და ჩემს გულის პასუხებს მოგახსენებთ ცხრამთას იქიდამ ამ წიგნის ასოების ცოდნა-შემწეობით და ჩემის დედ-მამის ნაამაგდარ ზრუნვის წყალობით. მაშასადამე, ქონება ისეთივე საჭირო მასაზრდოებელი ნიადაგია ადამიანის სულ-ხორცისათვის, როგორც მცენარის ფესვებისათვის დედამიწა. მხოლოდ საქმე იმაშია, როგორი ქონება გვაქვს სიცოცხლის მაცხოვრებელ ნიადაგად და რა გვარი მიწა აქვს მასაზრდოებელ ნიადაგადვე მცენარეთა ფესვებს. ავიღოთ მაგალითად ჩვენი საყვარელი და ყველა მცენარეზედ ახლო ნაცნობი ვაზი და დავუკვირდეთ იმის ცხოვრებას. ვაზს თუ ნოყიერი და წეს-რიგიანად შემუშავებული ნიადაგი აქვს, თითონაც ჯანსაღია და ნაყოფსაც გულ-უხვად იძლევა, და თუ ვაზს არც ნიადაგი უვარგა და წესიერი შემუშავებაც აკლია, ვაზიც ჯან-გატეხილია ‡ სილატაკისაგან ისეთ მარცვალ-დალეულ კუფხალებს-ღა გამოიბავს აქა-იქა, რომ ტყის კრიკინა გეგონებათ. ასეთივეა ადამიანის სიცოცხლეც: იმის ცხოვრების ავკარგი იმისავე მასაზრდოებელ ქონება-ნიადაგის ავ-კარგიანობაზეა დამოკიდებული. არა, სილატაკისაგან წელ-მოწყვეტილი ხალხის გონებრივი ‡ ზნეობრივი წარმატება ყოვლად შეუძლებელია, ვიდრე მოწყვეტილს წელს ქონების ფიტით არ გაიმაგრებს. წესრიგიანად შეუმუშავეთ და სასუქით გაუნოყივრეთ ნიადაგი იმ უღონო გაცვეთილ მიწისაგან დაჯანდაგებულს ვაზებსაც და მაშინ ჰნახავთ, რა ვაზებად გადიქცევიან. სახელოვანი ფილოსოფოსი არტურ შოპენჰაუერი ნივთიერს ქონებას დიდს მნიშვნელობას აძლევს, როგორც ადამიანთა გონების დამწინაურებელ საშუალებას. აი რას სწერს იგი თავის გამოჩინებულ თხზულების („Die welt als wicke und als Vorstellung“) წინასიტყვაობაში თავის მამას სხვათა შორის: „შენ მომავლინე ამ ქვეყნად და შენვე ჰზრუნავდი ჩემის განვითარებისათვის და დამოკიდებულ არსებობისათვის მქონოდა ნივთიერი შეძლება, ურომლისოდაც დღეს დაღუპვის გზაზე ვიდგებოდი, რადგანაც სიკვდილს ვირჩევდი და ჩინოვნიკურად-კი წალის ტყლაპად არავის წავეგებოდი ლუკმის გულისათვის. დიდს მადლობას გწირავ ამ დაუვიწყარ ამაგისათვის, დიდად პატიოსანო მამა-მშობელო! ვინც-კი ჩემის ნაწერებით ისიამოვნებს, ინუგეშებს და ისწავლის რასმე, დეე გაიგოს იმან უწინარეს შენი სახელი და იცოდეს: ჰეინრიხ შოპენჰაუერი რომ შორს გამსჭვრეტელი მომჭირნე არა ყოფილიყო, არტურ შოპენჰაუერი მთლად დაღუპული ნაცარქექია იქნებოდა დღეს“.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

რუსთაველს შინაარსი თვისის პოემისა აუღია ერთ ამ გვარ ზღაპრიდგან.

ამაოდ ჰფიქრობენ ზოგნი, ვითომ ამით მცირდებოდეს ღირსება უდიდებულესის მგოსნისა. ყველა წარჩინებული პოეტი (მაგ. შექსპირი, გეტე და სხ.) შინაარსს თავისის პოეტურ ქმნილებისას თითქმის მუდამ იღებდნენ ხალხურის თქმიდამ, ისტორიიდამ და სხვა ამ გვარ წყაროებიდამ, მაგრამ ამ უბრალო ზღაპრულს თქმულებათა გენიოსნი შთაუდგამდნენ თავისს ძლიერს სულს, შთაბერავდნენ უკვდავითა გრძნობათ და აღანთებდნენ იმ საღმრთო ნაპერწკლით უმაღლესის სიმართლისა და ჭეშმარიტებისა, რომელსაც ვუწოდებთ პოეზიას. რუსთაველმაც ეგრე ჰქმნა: უბრალო, უსულ-უგულო სპარსულს „ამბავს“ შთაბერა ის ძლიერი სული, რომელიც უკვდავად ჰღაღადებს აქამდე, რომელსა „ციურის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება“.

ყოველივე ძველდება, ირღვევა, იშლება, ყოველსავე აქვს ბოლო, ყოველივე ცვალებადია და წარმავალი, მხოლოდ სიმართლე და ჭეშმარიტება საუკუნოა და ფერ-უცვლელი. ხოლო პოეტი ხომ მოციქულია სიმართლისა და ჭეშმარიტებისა, წინასწარმეტყველია, ცით მოგზავნილი, ღვთის ნების მაუწყებელი, მღაღადებელია უუმაღლესის მშვენიერებისა, რომელსაც შეუგნებლად ეტრფის სული და წყურვილით დაეძებს გონება.

როგორც სხეული კაცისა არ არის ღირსება სულისა, არამედ ორგანო მისი, ისე გარეგანი სახეც პოეზიისა, ანუ მოთხრობა, რომელზედაც პოეტმა აღაშენა თვისი ქმნილება, არ არის თვით სული ქმნილებისა, მისი ღირსება და ძალი. მოაშორეთ სული სხეულსა, რა დაგრჩათ?—ერთი-ღა საძაგელი მძორი. ამოართვით სული პოეტურს ქმნილებას, გარდააქციეთ „ამბად“, რა დაგრჩათ?—ცარიელი ძვლები ოდესმე დიდებულის მშვენიერებისა, ცეცხლი გამქრალი საღმრთო ლამპრისა, უსულ-უგულო შინაარსი უკვდავის ქმნილებისა. ნუ თუ ვისმე ჰგონია, რომ თუნდ ბ-ნ გ. ი—საგან ნიჭიერად მოთხრობილს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსში მოიპოვებოდეს ერთი წვეთი მაინც პოეზიისა, ნატამალი დიდებულის პოეტის ძლიერის სულთ-თქმისა? ყოველი პოეზია მტვრად იქცევა და სული ერთმევა ქმნილებას, როდესაც ამბად გადააქცევენ მის შინაარსს, როდესაც ასეთს ქმნილებას შეეხება ხელი არა-პოეტისა.

ამისთვის ნურავის ჰგონია, ვითომ რუსთაველის უკვდავი სახელი შეიძლებოდეს დამდაბლდეს მით, რომ აღმოჩნდეს ის „ამბავი“, რომელიც გახდა შინაარსად მისის უკვდავის პოემისა.

არაბების ბატონობის დროს ქართულს ენაზედ უთარგმნიათ უცხო ენათაგან და უმეტესად არაბულით მრავალი ამბავი აღმოსავლეთის გმირებისა. ჩვენს დრომდისაც ბევრს მოუღწევია მაგ „ამბებისაგან“, ბევრს ოჯახში და ზოგს წიგნთ-საცავებშიაც მოიპოვება მცირე ნაშთი მაინც ოდესმე დიდ-ძალის მწერლობისა და ჩვენც შეგვხვედრია, მაგრამ აქ მინდა მკითხველს ყურადღება მივაქციო ერთს იმათგანს, რომელიც, ჩვენის მოსაზრებით, რუსთაველს უნდა აღერჩიოს შინაარსად თვისის პოემისა. ეს გახლავთ „ბარამიანი“, ანუ ბარამ-გულიჯანიანი, რომელსაც ძველადაც უჩვენებდნენ როგორც წყაროს „ვეფხის-ტყაოსნისას“. შინაარსი ბარამიანისა ძალიან წაჰგავს „ვეფხის-ტყაოსნისას“:

ჩინელთ ხელმწიფეს ჯონშერს (რომელიც აღწერილია იმავე ვითარებით, როგორც როსტევან) ჰყავს ერთად-ერთი ქალი გულიჯან, რომლის პირი არავის უნახავს, და სწუხს უძეობისა გამო. ჯონშერს, როგორც როსტევანსაც, თავისს სასახლეში ჰყავს მისგანვე გაზრდილი ახალგაზდა ჯერ უწვერული სპასპეტ-სპასალარი ბარამ, განთქმული მოასპარეზ-მობურთალმეომარი. ერთხელ, როდესაც მეფე ჯონშერ საზაფხულოდ აგარაკად გავიდა და პირ-დაფარული მისი ქალი თან წაიყვანა, უეცრად ქარმა აჰხადა გულიჯანს პირ-ბადე და გამობრწყინდა მისი მომხიბლავი მშვენიერება, რომლისაგანაც ბარამს თავ-ზარი დაეცემა და უძლიერესის სიყვარულის ცეცხლი აღეგზნება მის გულში. მაგრამ ბარამი ვერ ამხელს თავისს სიყვარულს და „მიჯნურობა დამალული აქვს გულში“ (როგორც ტარიელსაც ნესტან-დარეჯანის მიმართ). გულიჯანსაც შეუყვარდება ბარამი, მაგრამ თავისს გრძნობას ჰმალავს. ბოლოს ფიალი სიყვარულისა აღივსება და გარდმოიდუღებს. ორნივ „დამალულად“ შეყვარებულნი მიხვდებიან ერთმანეთს, აცნობებენ თავისს გრძნობას წერილებით. პირველი შეყრა შეყვარებულთა მეტად მოგვაგონებს ტარიელ-ნესტან-დარეჯანისას. სიყვარულის ცეცხლი აღნობს ბარამს, რადგან მეფის ქალის შოვნისა სრულიად იმედ-მოკლებული იყო, და გულიჯანსაც, რადგან მამა არას გზით ნებას არ მისცემდა ბარამს მისთხოვებოდა. ორნივე ავად ხდებიან, სიკვდილამდე მიაღწევენ; ყოველივე ხელოვნება მკურნალთა უნაყოფოდ რჩება და ბოლოს გამომჟღავნდება ჭეშმარიტი მიზეზი სნეულობისა—სიყვარული. მეფე შესწუხდება. ვეზირებს სთხოვს თათბირს, რა ვქნაო. ყველანი ურჩევენ ბარამის დაპატიმრებას შეურაცხებისა და კადნიერებისათვის. მაგრამ ბარამი გაიქცევა და გულიჯანს სასტიკი სასჯელი და საყვედური მიხვდება დედ-მამისაგან. ბარამს დაეძებენ, ჯარები გაჰგზავნეს მის შესაპყრობად, მაგრამ ამაოდ. შემდეგ აწერილია ბარამის გაჭრა ტყე-ველად და „ველ-ყოფა“ მისი. თავისს გულისთქმათა ბარამი უამბობს ყვავილთა და მზე-მთვარე-ვარსკვლავებს.

როგორც ტარიელიც, ბარამი შემწეობას აძლევს დაჩაგრულებს, ქარავანთა გამძარცველს მეკობრებს სასტიკად დასჯის, წაართმევს ნატყვენავს, მაგრამ ქონებისაგან თითონ არას აიღებს: მისი ქონება ცრემლია და სიყვარულის ხსოვნა. ბარამ ბალხეთს გადადის და იქ მოიგებს ამხანაგად ბალხეთის მეფის უფროსს კაცს მილადის (როგორც ტარიელ—ფრიდონს და ავთანდილს), რომელიც სწორედ იმ გვარსავე მეგობრობას გაუწევს ბარამს, როგორც ავთანდილი ტარიელს, და ბოლოს ბალხეთის მეფესაც აღძრავს შემწედ ბარამისა და სამნივე გაელაშქრებიან ჩინეთს გულიჯანის საშოვნელად (როგორც ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონ). აღმოჩნდება, რომ ჩინეთის მეფე გარდაცვლილა, ტახტი უმემკვიდრეოდ დარჩენილა და გულიჯანს ტახტზედ უარი უთქვამს, სანამ ბარამს არ მომიძებნითო. ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერ უპოვნიათ და ამის გამო როდესაც ბარამი ბალხეთის მეფით და მილადითურთ ჩინეთში შევლენ, ყველას გაუხარდება, ბარამს დიდის ამბით მიიღებენ, აქორწინებენ შეყვარებულთა და გაამეფებენ. ბოლოს აღწერილია ქორწილი, ძღვნობა და სხ., როგორც „ვეფხის-ტყაოსანშიაც“.

როგორც მკითხველი ჰხედავს, შინაარსი „ბარამიანისა“ წაჰგავს „ვეფხის-ტყაოსნისას“ და ეს ყოფილა მიზეზი, რომ ძველადვე გამოთქმულა აზრი ორივ პოემის მგზავსებისა. ამ ცნობას გვაძლევს მე-XVIII საუკ. მელექსე ომან მდივანი ქობულოვი, რომელსაც უპოვნია „ბარამიანი“ ამბად ნათქვამი „ჩუბინ ბრძენისაგან ქირმანეულისა“, ძველადვე „სპარსთა ენისაგან გადმოთარგმნილი“. ომან მდივანი, სხვათა შორის, სწერს:

„სთქვიან: ბარამ ჰგავს ტარიელს, არ ავთანდილის დარია;
„გულიჯან—ნესტან-დარეჯანს,
თინათინს მონაგვარია“.

ომან მდივანს იმისთვის გაულექსავს „ბარამიანი“, რომ „ესე ამბავნი არიან კაცთა ერობისა მახალისებელნი, ჯომარდობისა ეტლთა ზედა მაგალითად შემასრულებელი, ყმათა ვაჟობისა, სიმხნე-გოლიათობისა მასწავებელი, პურადობისა საბოძვარსა ზედა ბუნებისა გამომხსნელი, მოისარ-ასპარეზთა ზედა, ოროლისა მღერითა და ბურთისა გარდათურგნითა მაწინაველობისა მამგონებელი, რომელი ახარებს ჰაბუკობასა ზედან კაც-ყოფილებასა ჩვენსა; და მეცა მისთვის კელ ვყავ“.

არა გვგონია, რომ „უეჭველობა“ დაგვაბრალოს ვინმე ამ ჩვენგან საეჭვოდ დადებულის აზრისა.

—ეგრი—

## საქართველოს ეკკლესიის მღვდელთ-მთავართა სია

კათალიკოზნი

(488—1811)

1. **პეტრე.** 475—510 *) კაპადოკიელი პონტოდამ, მოწაფე გრიგორი ნაზიანზელისა. ქართ. მოქცევით, პეტრე კათალიკოზად იქმნა 490—493 წლებში (29 გვ.). ამა პეტრემდე („ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე“.) მიიცვალნეს მეფენი 10 და მთავარ-ეპისკოპოსნი 13 (იხ. ქართ. მოქც 30 გვ.) ებრძოდა სომეხთა ხალკიდონის კრების განაჩენის გამო, დაესწრო ვაღარშაპადის კრებასა; ამხნევებდა ვახტანგს კობადთან საბრძოლველად საგარეჯოს ბოლოს.

2. **სამოელ I.** 510—525. ამისა ჟამსა ეწამა წმ. შუშანიკი, რომელსაცა ესე სამოელ, წინად მთ. ეპისკოპოსი, „განამტკიცებდა დათმენად სატანჯველთა ყოველ სახეთა“, და უვლინებდა მოძღვართა ცორტავში, ანუ სანადირო ქალაქში. (იხ. ვახუშტ. გეორგ 142 გვ., საქართ. სამ. 186 გვ.)

**პეტრე**—დაჩი უჯარმელის (რევის ძე) დროს. დაჩის მეფობაში † პეტრე და მის მოადგილედ ჰქმნეს სამოელ* ბაქრ. ისტ. 147 (ქართ. მოქც.).

4. **სამოელ.** დაჩის ძე ბაქარ III დროს (ქართ. მოქც.).

5. **თავფეჩაღე** 530 ფარსმანის დროს.

პ. ცხილოელი.

*) „და დასვა პეტრე კათალიკოზი და ესე იყო ქართლის მოქცევითგან რო წელსა“ (ქ. მოქც. 29 გვ.) საზოგადოდ ქართლის მოქცევა 318 წ. არს მიღებული ამისათვის 318+170=188 წ. ამ წელსვე დაასრულა ვახტანგმა „სვეტი ცხოველი“.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. «Москов. Вѣд.»-ი გამწარებით ებრძვის ბერძენთა სამღვდელოებას იერუსალიმში. გაზეთის აზრით, იქაური ბერძენთა სამღვდელოება მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ, რაც შეიძლება, ბლომად იქონიოს წლიური შემოსავალი სხვა-და-სხვა ქვეყანაში გაფანტულის მამულებისა და დიდი შეძლება შეიძინოსო. მართლ-მადიდებლობის გამტკიცებას, მისთვის ზრუნვას სრულიად არ დაეძებსო. ჩვენი დიდი შეცდომა ის იყო, რომ ყოველ მის ბოროტ-მოქმედებას დღემდე ხელს ვაფარებდით, ვმალავდით, ვითომ-და სახელი არ გავუტეხოთ იერუსალიმის ეკკლესიასაო.

მლოცველთა დენის მატებამ და შეწირულებათა უხვად გზავნამაო,—განაგრძობს გაზეთი:—უფრო განამდიდრა იერუსალიმის სამღვდელოების ანგარება. ჩაიგდეს თუ არა ბერძნებმა ხელში იერუსალიმის საპატრიარქო საყდარი, ანუ კათედრა მე-XVI საუკუნეში, მას-უკან მისთვის საჭირო ხარჯს ეწეოდნენ: რუმინები, ქართველები და რუსები; ბერძნები დიდის მოხერხებით ჰფცქვნიდნენ და ჰკრეჭდნენ ბარბაროსებს, ვიდრე რუმინიის ბარბაროსებმა არ განდევნეს თავიანთ ქვეყნიდგან იერუსალიმის განათლებული ბერები და არ წაართვეს მამულები, ვიდრე გულ-დანდობილი და გულ-უბრყვილო ქართველები სრულიად არ დაუღონოვდნენ ქონებით და, დასასრულ, ვიდრე რუსებმა თვალები არ მოიფშვნიტეს და არ დაინახეს, რა ყოფაშიაც იყო საქმე, არ მიხვდნენ, რომ პალესტინაში უნდა მფარველობას უწევდეთ მართლ-მადიდებლობას და არა ბერძნებსაო.

გაზეთი დასძენს ბოლოს, რომ გაუგებარია და ჭკვა-მიუწდომელი, როგორ უნდა იჭერდენ რუსები ბერძნების მხარეს ამისთანა ბნელს და საეჭვო საქმეშიო, რადგან, ჩვენდა სამარცხვინოდ, ამისთანა რუსნიც მოიპოვებიანო.

ამას შემდეგ ჩვენ რაღა გვეთქმის? ჩვენის ქვეყნიდგან ყოველ წლივ აუარებელი ფულ-კულუხი მიდის იერუსალიმში იქაურ ბერძენთა ბერების გასახარელად. შინ რომ ბალღი ტიროდეს, ტაბლას გარედ რა უნდაო, ნათქვამია, მაგრამ ვინ არის პატრონი!

## უცხოეთი

ეგრედ წოდებულს „ვერცხლის საქმეს“ ამ ჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის. ამ საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ევროპისათვისაც. შეერთებულ შტატების პალატის უკანასკნელს კრებაზედ ამ საგანზედ დიდი მსჯელობა ჰქონდათ ბლონდების თავისუფლად ვერცხლის ფულის მოჭრის კანონ-პროექტის შესახებ. თუმცა ეს კანონ-პროექტი უარყოფილი არ არის, მაგრამ იმის განხორციელება დიდის ხნით გადიდო. ვერცხლის ფულის მოჭრა მომეტებულად მადნების პატრონებსა და დასავლეთ ამერიკის ფერმერებსა სურთ, რადგანაც თუ რესპუბლიკამ ეს კანონ-პროექტი შეიწყნარა, ვერცხლის ფასი აიწევს და ფერმერები უფრო ადვილად გადიხდიან მამულების ვალს. ეს კანონ-პროექტი რომ მიეღო პალატას, ვერცხლს ძლიერ კარგი გასავალი ექნებოდა, რადგანაც ვერცხლის ფულის ფასი მუდამ ერთი იქმნებოდა. თუ გინდ ვერცხლის ფასი დაცემულიყოს კიდეც, ფერმერები ვერცხლის ფულით ადვილად გადიხდიდნენ ვალს. თუმცა ეს კანონ კანონ-პროექტი შეწყნარებული არ იქმნა, მაგრამ ადვილად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაშიაც საეჭვო იქნებოდა იმათის იმედების განხორციელება.

1890 წელს რესპუბლიკის ხაზინას დაევალა, რომ ყოველ წლივ $4^1/_2$ მილიონი უნცი ვერცხლი იყიდოს და იმის ბადლად ყოველ წლივ ბანკის ბილეთები გამოსცეს. ვერცხლის მადნების პატრონებსა და ფერმერებს იმედი ჰქონდათ, რომ ვერცხლის ფასი აიწევსო.

პირველ ხანებში იმედმა არ უმტყუნათ და ვერცხლის ფასმა მართლა რომ იმატა. 1889 წელს ერთი უნცი ვერცხლი ლონდონში 42 პენსი ღირდა, 1890 წელს-კი $54^1/_2$ პენსამდე აიწია. მადნების პატრონებს იმედი ჰქონდათ, ეს ფასი უფრო იმატებსო, მაგრამ მას აქეთ ვერცხლის ფასმა პირ-იქით იკლო და ამ ჟამად ერთი უნცი ვერცხლი მხოლოდ $40^7/_{16}$ პენსი ფასობს და შიშობენ კიდეც, რომ თანდათან ფასი დააკლდებაო. სწორედ ამ მიზეზის ბრალია, რომ მემადნეებმა ითხოვეს, ყოველ წლიწადს იმდენი ვერცხლი მიიღეთ ჩვენგან, რამდენსაც მოგცემთო, და ვერცხლის მაგიერად იმდენივე ქაღალდის ბილეთი მოსჭერითო, მაგრამ ეს თხოვნა, როგორცა ვსთქვით, შეწყნარებული არ იქმნა.

ამ საქმეს შეერთებულ შტატების საპოლიტიკო ცხოვრებაშიაც დიდი მნიშვნელობა ექმნება, რადგანაც დემოკრატთა დასი ამ საგნის შესახებ ორ ნაწილად დაიყო და პრეზიდენტის მომავალ არჩევანების დროს ძნელად გაიმარჯვებენ, თუ ამ საქმეში არ მორიგდნენ.

## წვრილი ამბავი

ციურიხის კანტონის საბჭომ ნება მისცა ვექილს ქალს, ქ-ნს ემილია კემპინს, სასამართლოში ბრალდებულნი დაიცვას და ვექილობა გასწიოს. საზოგადოდ დაკანონებულ იქმნა, რომ ქალებსაც კაცებსავით უფლება უნდა ჰქონდეთ ვექილობისა, თუ იურიდიული ცოდნა აქვთ მიღებულიო.

— ბერლინის არისტოკრატმა და გვარიშვილმა ქალებმა ბალი გაჰმართეს თურმე, რომელზედაც კაცებს დასწრების ნება არა ჰქონდათ. ამ ბალში ქალები ასრულებდნენ თურმე კაცების მაგიერობას კაცების ტანისამოსითვე. ბალს დაესწრნენ ბერლინის უფრო კეთილშობილნი ქალნი, მინისტრთა და კარის-კაცთა მეუღლენი

და ქალიშვილნი, რომელთაც ავიცრებისა, ტკამასხარებისა, ვექილებისა, დალაქებისა და სხვათა ტანისამოსები ეცვათ. ბალს სულ ათას ხუთასამდე ქალი დაესწრო.

— ნიუ-იორკის პოლიციის განყოფილებაში ამას წინად ერთი გამხდარი კაცი შევიდა, მივიდა თურმე მორიგე მოხელესთან და უთხრა: „მოწყალეო ხელმწიფევ! ერთი ამბავი უნდა შეგატყობინოთ. მე მკვდარი ვარ. მომკლეს და ამიტომ გთხოვთ ჩემი მკვლელი იპოვნოთ და, ამას გარდა, ბრძანება გასცეთ, რომ დამასაფლაონ!“ მოხელე თურმე უკანუკან წავიდა, რადგან შეშინდა, მაშინვე მიჰხვდა, რომ ეს კაცი ჭკუათა-მყოფელი კაცი არ არისო. მოხელემ ზარი დააწკარუნა და მაშინვე შემოცვიდნენ პოლიციის ექიმი და სხვა პოლიციელნი. ერთს წუთას მთელი ოთახი ხალხით აივსო და ყველამ თვალები ექიმს მიაჩერა, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაფრის განმაგარგულებელი და გამგეა.

«— ჰო, მაშინვე შეგატყვეთ, რომ მკვდარი ხართო, უთხრა თურმე ექიმმა უცნობს: იქნება შემთხვევით იცოდეთ და თქვენი სახელი და გვარი შეტყობილი გქონდეთ.

«— როგორ არა, ვიციო, დუდუნებს ავადმყოფი: მე მქვიან მილს დენვერი.

«— თქვენი ადრესი?

«— სასაფლაოზედ ვიმყოფები.

«— ვინ მოგისწრაფათ სიცოცხლე?

«— კოლუმბმა.

«— აი იმან, ამერიკა რომ აღმოაჩინა?

«— სწორედ იმან.

«— თუ აგრეა, მაშინ მომილოცნია: ის გაუბატონი უკვე დაჭერილი გვყავს. წავიდეთ და ეხლავე გაჩვენებთ, დამწყვდეულია.

«— ამ წუთას! უპასუხებს ჭკვათა არა მყოფელი მოხერხებულს ექიმს და ჯიბეების ჩხრეკას დაიწყებს. ცოტას ხანს შემდეგ ამოიღებს რამდენსამე მშვენიერს ყდაში გაკეთებულს კალენდარს: მოწყალეო ხელმწიფენო! როცა ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი, ამ კალენდრებსა ვყიდდი; ამისთანა კალენდარი მთელს ამერიკაში არ მოიძებნება და ძალიან იაფად ჰღირს. მედია, ამ საუცხოო კალენდრებსაც ჩემთან არ დაალპობთ დედამიწაში და, ვიდრე არ დავუსაფლავებივართ, ეხლავე იყიდით.

როცა ეს გიჟი, ათს წუთს შემდეგ, სახლიდგან გამოვიდა, ხელში აღარც ერთი კალენდარი აღარ ეჭირა... განა რომ ხერხიანად გაუსაღებია თავისი კალენდრები ამ ამერიკელს!

---

### ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

როგორც თქვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული, სოფ. მაღლაკის მცხოვრებლებს (ქუთ. გუბერ.) დიდი უბედურება ეწიათ ამას წინად: სამოცის ოჯახის სახლ-კარი იმსხვერპლა ცეცხლმა.

გიგზავნით ამასთანავე რვა მანათს, შეკრებილს დაზიანებულთა სასარგებლოდ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურეთა შორის, და უმორჩილესად გთხოვთ ეს წვლილი გაგზავნილ იქმნას დანიშნულებისამებრ.

ალ. ჭიჭინაძე

---

ჩაი სწვ

## ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

24 მარტი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** გამოაცხადეს გარდაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოსი იმის შესახებ, რომ შეივსოს და შეიცვალოს კანონები თავისუფალ სახელმწიფო მიწებზე კერძო სამთა-მადნო მრეწველობისა.

გუშინ, მეხუთე საათის დამლევს, ოხტენის თოფის წამლის ქარხანაში აფეთქდა 350 ფუთი პიროქსილინი. აფეთქება მოხდა აგურის შენობაში, უკვამლო თოფის-წამლის საშრობში. შენობა სარკვლიანად აფეთქდა, ასე რომ ნიშანიც-კი არა დარჩა-რა. ასისა და მეტის საჟენის სიშორეზედ იპოვნეს ძვალ-რბილ გათქვეფილი ნაწილები გვამებისა. აფეთქების გამო დაზიანდა ქარხნის მახლობლად სხვა შენობებიც და 5 მუშა მძიმედ დაშავდა. მიზეზი აფეთქებისა არ იციან. აფეთქებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ორის ვერსის სიშორეზედაც რამდენსამე სახლში ფანჯრების შუშები ჩაიმტვრა და ჭერები დასკდა.

**ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ.** გუშინ საღამოს ისპანიის დეპუტატთა პალატის აფეთქება დააპირეს. ორი ანარხისტი: ფრანგი დევაკი და პორტუგალელი ფერრეირი სწორედ იმ დროს შეიპყრეს, როდესაც ყუმბარებს აწყობდნენ პრეზიდენტის სახლიდგან საკრებო დარბაზში ასავალს კიბეზედ. აღმოჩენილი ყუმბარები კონუსს ემსგავსება, სპილენძის კანი აქვს, სიმაღლით 14 სანტიმია და სისქით 5 სანტიმი. როგორც წართმეულის ქაღალდებიდგანა სჩანს, აფეთქება სწადებიათ პალატისა, სენატისა და სასახლისა. საზოგადოება სასტიკად დასჯასა თხოულობს შეპყრობილ ანარხისტებისას.

**ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ.** 14 ფრანგი ანარხისტი შეიპყრეს და განდევნიან.

25 მარტი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** ოხტენის თოფის წამლის ქარხანაში აფეთქება პიროქსილინის გასაშრობს შენობაში მოხდა იმ დროს, როცა პიროქსილინსა ჰფენდნენ გასაშრობად. აფეთქდა სულ 400 ფუთი პიროქსილონი. ქარხანას მეორე შენობაცა აქვს საშრობად. საშრობს შენობაში 7 მუშა იყო, 2 მეხანიკი და ოსტატები, რომელნიც აფეთქების დროს სულ ლუკმა-ლუკმა დაიჩლიჩნენ. მძიმედ დაშავებულია 5 კაცი, ხოლო მსუბუქად 22 კაცი. აფეთქებული საშრობი ქარხანაზედ მოშორებით იყო და ამიტომ ქარხანა უფრო ნაკლებად დაზიანდა. უფრო დაზიანდა რამდენიმე შენობა, რომელიც საშრობთან მახლობლად იყო. იქვე დაშავდნენ მუშებიც.

26 მარტი

**ᲞᲐᲠᲘᲟᲘ.** დაგომელები პორტონოვოს მიდამოებიდგან ჩრდილოეთისკენ იხევენ და თან მრავალი ტყვე და საქონელი მიჰყავთ. ფრანგი კაპიტანი მენარი 5 ადგილობრივ მცხოვრებ მსროლელითურთ მოკლულ იქმნა, როდესაც სამორის სოფელს სეგუელოზე იერიში მიიტანეს,

ანჟერიდგან იუწყებიან, აქაურს საპოლიციო გამგეობაში დინამიტით აფეთქება მოხდაო ყუმბარა გარედგან ფანჯარაზე დაედოთ. შუშები ბაზრისა და მახლობელ სახლების ფანჯრებისა დაიმტვრა. ერთს პოლიციელს სახე დაუშავდა. რამდენსამე კაცს უპირობენ დაპატიმრებას.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,86 | 7,88 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 157 | 157 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,15 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 218 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 198 | 199 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

### ᲥᲐᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ
ᲡᲐᲐᲦᲓᲒᲝᲛᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ.

ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

**ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ** თხუზულებათა

1 ტ. (ლექსები და პოემები) კარგ ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით. 2 მ. 50 კ.
იგივე უყდო. . . 2 მ.
იგივე მდარე ქაღალდზედ . 1 მ. 20 კ.
„ბნელო“, მოთხრობა მელანიასი მშვენიერის ყდით . 90 კ.
დავითაშვილის ნაწერები ლამაზის ყდით. . . 1 მ. 25 კ.
ზღაპრები ლამაზი ყდით . 80 კ.
ყაზბეგის თხზულებანი I, II, III ტ. ფასი თითო ტომისა მშვენიერის ყდით. . 2 მ. 50 კ.
ხოლო სამი ტომი ერთად . . . . . . . . 7 მ. „ „



КРАСКА для ВОЛОСЪ В. ГЕНА въ ВѢНѢ изъ ГРЕЦКИХЪ ОРѢХОВЪ.

ОХРАНИТЕЛЬНАЯ МАРКА.

БЕЗВРЕДНОЕ СРЕДСТВО ДЛЯ БЫСТРАГО ОКРАШИВАНІЯ ВОЛОСЪ и БОРОДЫ въ ЧЕРНЫЙ РУСЫЙ, ТЕМНО- и СВѢТЛО-КАШТАНОВЫЙ ЦВѢТЪ.

ЦѢНА ЗА ФЛАКОНЪ съ ПЕРЕСЫЛКОЙ 3 Р.

ГЛАВН. СКЛАДЪ ДЛЯ РОССІИ В. АУРИХЪ въ С. ПЕТЕРБУРГѢ КОЛОКОЛЬНАЯ 18.

(10—7)

ᲨᲕᲔᲚᲒᲐᲜ!!!

საპონი ოლეო-ვაზელინი

ᲠᲝᲘᲐᲚ-ᲙᲝᲜᲑᲝ!

ახალი ამბავი!!!

ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

„ვიქტორია რეგინასი“

ე. გოდლო და ამხ.

მოსკოვში.

(10—6)

„ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემული

**ილია ჭავჭავაძის**

ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ

პირველი ტომი
(ლექსები და პოემები)

ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ფასი 1 მ. 20 კ.

---

### კბილის ექიმი
## Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—32)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲛ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |